

მშენებლობა



B1+

სავარჯიშო
რვეული

2018



მშენებლობა

სავარჯიშო რვეული

B1+

თბილისი
2018

საპარტიზო რვეულზე „მშენებლობა (B1+)“ მუშაობდნენ:

ჯგუფის ხელმძღვანელი და მეთოდისტი:

ეთერ ღვინერია

დარგის ექსპერტი:

ნოდარ ედიშერაშვილი

საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფესორი,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი

ავტორები:

**ნათია ფუტყარაძე
ეკატერინე ნავროზაშვილი
ეთერ ღვინერია**

რედაქტორი:

თამარ შარაბიძე

©(სსიპ) ზურაბ ჟვანიას სახელობის
სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა



საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების სამინისტრო



დაკაბადონდა და დაიბეჭდა
შპს „New and Grand“-ში

ISBN 978-9941-8-0875-3

შინაარსი

თავი I შენობა-ნაგებობათა კლასიფიკაცია.....	5
ნაწილი I. მშენებლობის ისტორიიდან	5
ნაწილი II. საბინაო და სამოქალაქო მშენებლობა	12
ნაწილი III. სამრეწველო მშენებლობა.....	17
თავი II შენობის ძირითადი მზიდი კონსტრუქციული ნაწილები	23
ნაწილი I. საძირკვლის ტიპები.....	23
ნაწილი II. აგურისა და ბლოკის კედლები.....	28
ნაწილი III. სახურავი და სართულშუა გადახურვა.....	32
თავი III საშენი მასალები.....	39
ნაწილი I. მზიდი კონსტრუქციების მასალები.....	39
ნაწილი II. არაკონსტრუქციული მასალები	43
ნაწილი III. საშენი მასალები და მათი გამოყენება.....	48
შემაჯამებელი თავი	53
შუალედური შეფასების ტესტი.....	61
თავი IV სამშენებლო—სამონტაჟო სამუშაოები.....	64
ნაწილი I. რკინაბეტონის კონსტრუქციები.....	64
ნაწილი II. ლითონის კონსტრუქციები.....	70
ნაწილი III. კედლებისა და ჭერის შემოსვა.....	75
თავი VI სამშენებლო პროფესიები და შესაბამისი აღჭურვილობა.....	80
ნაწილი I. კალატობი.....	80
ნაწილი II. მებათქაშე.....	84
ნაწილი III. მეფილე—მომპირკეთებელი.....	89

თავი VI სამშენებლო ტექნიკა და წარმოების ინსტრუმენტები.....	94
ნაწილი I. შრომის უსაფრთხოება მშენებლობაზე	94
ნაწილი II. სამშენებლო სპეცტექნიკა.....	101
ნაწილი III. სამშენებლო წარმოების ინსტრუმენტები.....	107
შემაჯამებელი თავი.....	113
შემაჯამებელი ტესტი	122

თავი I შენობა-ნაგებობათა კლასიფიკაცია

ნაწილი I

მშენებლობის ისტორიიდან

1.1. დაასათურეთ ფოტოები:

მაღალჭერიანი ოთახი გამოქვაბული დაბალჭერიანი ოთახი



1.2. შეავსეთ ცხრილი ტექსტიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით :

სიტყვა:	მისი მნიშვნელობა:
1.	1. მიწის ზედაპირზე აშენებული სახლი, ხიდი და სხვ.
2. სამშენებლო	
3. გამოქვაბული	3.
4.	4. ის, ვინც აშენებს
5. სამშენებლო მასალა	5.

1.3. ა) მოცემული სიტყვების გამოყენებით შეადგინეთ შესიტყვებები:

შედგენა კონსტრუქცია დაცვა ტექნოლოგიები მასალა

ნიმუში:	მიწისზედა (ნაგებობა)	ნაგებობა
1	მარტივი	
2	სამშენებლო	
3	პროექტის	
4	თავის	
5	საშენი	

ბ) მიღებული შესიტყვებების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

1.
2.
3.
4.
5.

1.4. დააკავშირეთ სიტყვები განმარტებებთან, მათი გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

- | | |
|-----------------------------------|---|
| 1. გამოქვაბული /_დ_ | ა. მიწისზედა ნაწილზე აშენებული სახლი, ხიდი და ა.შ. |
| 2. დაპროექტება / ____ | ბ. (1)აგება, აშენება; (2)ადგილი, სადაც მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები |
| 3. მიწისზედა ნაგებობები / ____ | გ. ადგილი, სადაც თავის შეფარება შეიძლება |
| 4. სამშენებლო / ____ | დ. ადგილი მთაში, კლდეში |
| 5. მასალა / ____ | ე. მშენებლობისთვის საჭირო, გამოსადეგი |
| 6. მშენებლობა / ____ | ვ. საჭირო ნივთი, საგანი, რაც საჭიროა ასაშენებლად |
| 7. სამშენებლო ტექნოლოგიები / ____ | ზ. პროექტის შედგენა |
| 8. თავშესაფარი / ____ | თ. მშენებლობისთვის საჭირო ტექნიკური საშუალებები |

1.

- 2.
- 3.
- 4.
- 5.
- 6.

1.5. ხაზგასმულ სიტყვებში მრავლობითი რიცხვის –ებ სუფიქსი შეცვალეთ –თანით:

ნიმუში: ხვალ ქარხანაში **მუშების** საპროტესტო აქცია მოეწყობა.
 ხვალ ქარხანაში **მუშათა** საპროტესტო აქცია მოეწყობა.

- 1. სამშენებლო **სამუშაოების** ხარისხი თითოეულ ჩვენგანზეა დამოკიდებული.

- 2. **ტექნოლოგიების** განვითარება ამარტივებს სამშენებლო სამუშაოებს.

- 3. **ადამიანების** თავდაპირველი თავშესაფარი გამოქვაბული იყო.

- 4. მიწისზედა **ნაგებობების** ასაშენებლად პირველყოფილმა ადამიანებმა ხის ტოტები გამოიყენეს.

1.6. ა) შეავსეთ გამოტოვებული ასოები:

ა		უ	რ																		
მ	ა	ფ		ქ		ა		ა	რ		მ					ლ	ა	მ	ა		
შ	ა			ლ		ქ	ტ	ე			ქ	რ	ს	რ	ქ	ტ			ა		
პ		რ	ს	მ		ნ					პ				ქ	ფ	ა			მ	ი

ბ) მიღებული სიტყვების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

- 1.

2.
3.
4.
5.
6.
7.

1.7. შეავსეთ ცხრილი, ჩასვით ზმნები ნიშნის მიხედვით და შეადგინეთ წინადადებები:

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1	წერა	წერს	დაწერს
2			იქნება
3	ააშენა		
4	დააპროექტა		
5			გამოიყენებს
6			ჩაასხამს
7		აკეთებს	

1. გუშინ
2. გუშინწინ
3. დღეს
4. ხვალ
5. ყოველ დღე
6. გასულ კვირას
7. ზეგ

1.8. უპასუხეთ კითხვებს, შეავსეთ გამოტოვებული უჯრები და ააგეთ წინადადებები:

N	რამდენ ხანს?	რამდენი ხანი?	რამდენი ხანია?
1	ორ დღეს	ორი დღე	ორი დღეა
2		ოთხი კვირა	
3			ხუთი წელია
4	სამ საათს		
6			ორმოცი წელია
7	მთელ დღეს		

1. ორი წელიწადია,
2. ოთხი კვირა
3. სამ საათს
4. მთელი ცხოვრება

1.9. ააგეთ კითხვითი წინადადებები:

ნიმუში: ათი დღე ვიყავი ბაკურიანში.
რამდენი დღე იყავი ბაკურიანში?

1. დიდ ხანს შენდებოდა უნივერსიტეტის პირველი კორპუსი.
?
2. ცოტა ხანს დავიცადოთ, აუცილებლად მოვა მშენებელი.
?
3. კიდევ ათი კვირა დასჭირდება ამ შენობის დაპროექტებას.
?
4. ათი წელია, რაც ამ სახლის აშენებას ველოდებით.
?
5. გიორგი საიმედოდ და ხარისხიანად აშენებს, თითო აგურის დადებას სამ წუთს ანდომებს.
?
6. ორი დღეა, მშენებლობაზე ვმუშაობ.
?

1.10. მოცემული ვარიანტებიდან შეარჩიეთ და შემოხაზეთ ზმნის სწორი ფორმა:

ნიმუში:

1. რამდენ წელს ამ კორპუსის მშენებლობა?
 - ა. აგრძელებს.
 - ბ. გააგრძელებს.
 - გ. გაგრძელდება
2. ჩვენი მეგობარი ფართო და ლამაზ საცხოვრებელ სახლებს
 - ა. დააპროექტა.
 - ბ. აპროექტებს.
 - გ. დაუპროექტეს.
3. ეს სამშენებლო კომპანია ყოველთვის ხარისხიან სამშენებლო მასალებს
 - ა. გამოიყენა.
 - ბ. იყენებს.
 - გ. გამოიყენებენ.
4. ძალიან ლამაზია ეს ნაგებობა, ვინ ?
 - ა. ააშენა?
 - ბ. აუშენებს?
 - გ. ააშენებენ?

1.11. ა) დააკავშირეთ საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები:

<ol style="list-style-type: none"> 1. რთული 2. აშენება 3. უძველესი 4. მიწისზედა 	<ol style="list-style-type: none"> ა) მიწისქვეშა ბ) თანამედროვე გ) დანგრევა დ) მარტივი
---	--

ბ) მიღებული ანტონიმური წყვილები ჩაწერეთ შესაბამისი სიტყვის ქვეშ:


კონსტრუქცია		სახლის	
ნაგებობა		პროფესია	

1.12. წაიკითხეთ მოცემული სიტყვები და მიუწერეთ სინონიმები:

- საიმედო —
- მყარი —
- რთული —
- დაპროექტება —

1.13. წაიკითხეთ ტექსტი და გამოყავით სამშენებლო ლექსიკა:

ეს ურეკის საკონცერტო დარბაზის გეგმაა. იგი 2013 წელს საქართველოს დამსახურებულმა ინჟინერ-კონსტრუქტორმა — ნოდარ ედიშერაშვილმა — დააპროექტა. ბატონი ნოდარის თქმით, ურეკის საკონცერტო დარბაზის კონსტრუქცია საკმაოდ რთულია. წვიმიანი და მზიანი ამინდის გათვალისწინებით დაპროექტებულია მოძრავი სახურავი. მშენებლობისას გამოიყენეს უახლესი სამშენებლო ტექნოლოგიები.



1.14. მოცემული სიტყვებით შეადგინეთ ტექსტი:

დამკვეთი	მშენებელი	მიწისზედა	სამშენებლო	შეცვლა	აღმოჩენა
		დაპროექტება	დანგრევა		

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

საბინაო და სამოქალაქო მშენებლობა

2.1. გადაიყვანეთ ზმნები ახლანდელიდან მომავალ დროში და შეადგინეთ წინადადებები (ყურადღება მიაქციეთ ზმნის პირს):

ნიმუში: ვაპროექტებთ → დავაპროექტებთ ახალ შენობას

1. აგებს →
2. აშენებს →
3. ამზადებენ →
4. ვაკეთებთ →
5. ვიწყებთ →
6. ანგრევენ →
7. იყენებს →
8. უკვეთს →
9. ასხამს →

2.2. შეავსეთ ცხრილი მოცემული ნიმუშს მიხედვით:

რას იზამს?	როგორი?	მაგალითი:
ჩაასხამს	ჩასხმული	ჩასხმული საძირკველი
	აგებული	
მომზადებს		
ვაკეთებ		
	დაწყებული	
დაანგრევს		
	დაპროექტებული	

2.3. შეავსეთ ცხრილი მოცემული ნიმუშის მიხედვით და შეადგინეთ 5 წინადადება:

გუშინ	დღეს	ხვალ
ჩაასხა	ასხამს	ჩაასხამს
აავო		
		მომამზადებს
	აკეთებს	
	იწყებს	
დააპროექტა		
	აშენებს	

ნიმუში: საცხოვრებელი კორპუსის საძირკველს აზომვითი სამუშაოების დასრულების შემდეგ **ჩაასხამენ**.

1.
2.
3.
4.
5.

2.4. მოცემული შესიტყვებები ჩასვით შესაბამის ადგილას:

სამოქალაქო მშენებლობა მიწის ნაკვეთი საბინაო მშენებლობა
კონსტრუქციის აგება ლითონის კონსტრუქციები

1. პროფესიულ პროგრამაზე სტუდენტები სწავლობენ დაბალსართულიანი საცხოვრებელი სახლებისა და კოტეჯების აშენებას, შენობათა რეკონსტრუქციას, მრავალსართულიანი ნაგებობის ან საოფისე შენობის დაპროექტებას.
2. ურეკის საკონცერტო დარბაზის არ იყო მარტივი საქმე, ის საქართველოს ცნობილმა კონსტრუქტორებმა დააპროექტეს.
3. სოფელ ციხისძირში მაქვს, მინდა პატარა სახლი ავაშენო.
4. შენობის აგება მოსახერხებელია და ნაკლებ ხარჯს მოითხოვს.
5. ახალი პრემიდენტი ამბობს, რომ დრო მოვიდა; ის გეგმავს სასტუმროების, სტადიონებისა და თბილისის ახალი, ევროპული დონის აეროპორტის აშენებას.

2.5. ხაზი გაუსვით სწორ ფორმას:

1. დედაქალაქში ბევრი **მაღალსართულიანი/სამოქალაქო** საცხოვრებელი კორპუსი შენდება.
2. კოტეჯებისა და დაბალსართულიანი სახლების აშენებას **საბინაო/სამოქალაქო** მშენებლობის პროგრამაზე ასწავლიან.
3. 1939 წელს თბილისში გმირთა მოედანზე პირველი **მაღალსართულიანი/საიმედო** საცხოვრებელი სახლი აშენდა.
4. ქალაქთან ახლოს მიწის **კოტეჯის/ნაკვეთის** ყიდვა და პატარა სახლის ჩადგმა მინდა.
5. სტადიონის ლითონის **კარკასი/მშენებლობა** უცხოელმა ინჟინერ-კონსტრუქტორმა დააპროექტა.

2.6. შეარჩიეთ და შემოხაზეთ სწორი ფორმა:

ნიმუში: სამინისტრო **აცხადებს** / **გამოაცხადა** პროფესიულ პროგრამაზე მიღებას.

1. ჩემმა მეზობელმა სამსართულიანი სახლი **აშენებს/ააშენა**.
2. დედაჩემი სკოლის მოსწავლეებს ქართულ ენაში **ამზადებს/მოამზადა**.
3. ჩვენი სახლის აშენება არ იყო ადვილი, ძალიან დიდი საძირკველი **ჩავასხით/ვასხამთ**.
4. თბილისის დინამოს სტადიონი პირველი სპორტული ნაგებობაა თბილისში, რომელიც არქიტექტორმა არჩილ ქურდიანმა **აპროექტებს/დააპროექტა**.
5. ამერიკელი არქიტექტორები უახლეს სამშენებლო ტექნოლოგიებს **იყენებენ/გამოიყენეს**.
6. შენობის პროექტს კომპანია **უკვეთს/შეუკვეთა**, მშენებელი კი — აშენებს.

2.7. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით სიტყვები: შესახებ და გამო.

ნიმუში: ექსკურსიაზე ბავშვებმა ბევრი რამ გაიგეს ცემენტის ქარხნის ...**შესახებ**...

1. სიმძიმის რკინა-ბეტონის კონსტრუქცია ყველგან არ გამოიყენება.
2. ბოსტანქალაქის ბევრმა არაფერი იცის.
3. დიდი რაოდენობის ქარხნების რუსთავს საქართველოს ინდუსტრიულ დედაქალაქსაც უწოდებენ.
4. სამოქალაქო მშენებლობის განვითარების ადვილად გადაიჭრა საცხოვრებელი პრობლემა.
5. მყიდველმა ბინა დაიწუნა დაბალი ჭერის
6. კონსტრუქციის მდგრადობის შესახებ ინფორმაცია არ გვაქვს.
7. მშენებლობის დაბალი ტემპის კომპანიამ კლიენტები დაკარგა.
8. „ჰაიდელბერგის“ ცემენტის ბევრი რამ შევითყვეთ.
9. ფასადის კომისიამ შენობა დაიწუნა.

2.8. ა) შეავსეთ გამოტოვებული ასოები ისე, რომ მიიღოთ ახალი სიტყვები:

ქ		ტ		ჯ		ს	მ	ო	ა	ლ					
ს	ა	ბ	ნ			დ	ბ	ა	ლ	ა	რ	უ	ი	ა	ნ
ლ	ო	ნ				კ	ო	ნ			უ	მ	ა		


ბ) მიღებული სიტყვების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

1.
2.
3.
4.
5.
6.

2.9. ა) წაიკითხეთ ტექსტი:

სარფის საბაჟოს მშენებლობა 2011 წელს დასრულდა. პროექტზე კონსტრუქტორი ნოდარ ედიშერაშვილი მუშაობდა. სარფის საბაჟოს კონსტრუქციის ასაგებად თანამედროვე სამშენებლო ტექნოლოგიები, დიდი რაოდენობით ლითონი და რკინაბეტონი გამოიყენეს.

დღეისათვის სარფის საბაჟო სრული დატვირთვით მუშაობს. იქ დასაქმებული პოლიციელები ყოველდღიურად ათასობით ადამიანსა და მანქანას ამოწმებენ.



ბ) მოცემული სიტყვები ჩასვით სათანადო ადგილას: *კონსტრუქცია, კონსტრუქტორი, მშენებარე*

1. ლითონის ნაგებობას, შენობის ჩონჩხს ჰქვია
2. ის, რაც ახლა შენდება, არის ნაგებობა .
3. ის, ვინც აგებს კონსტრუქციას, არის

გ) თქვენი აზრით, რომელ ფოტოს შეესაბამება მოცემული სიტყვები?

კონსტრუქტორი ნ. ედიშერაშვილი

მშენებარე კონსტრუქცია

სარფის საბაჟოს პროექტი



1..... 2..... 3.....

დ) უპასუხეთ კითხვებს:

1. რომელ წელს გაიხსნა სარფის საბაჟოს ახალი შენობა?

.....

2. რა გამოიყენეს სარფის საბაჟოს კონსტრუქციის ასაგებად?

.....

2.9. უპასუხეთ კითხვებს წერილობით:

- ყოფილხართ თუ არა სარფის გამშვებ პუნქტზე?
- დახედეთ სარფის საბაჟოს პროექტის ფოტოს; იმჯვლეთ, მოგწონთ თუ არა სარფის საბაჟოს ლითონის კონსტრუქციის დიზაინი? რატომ? რას შეცვლიდით?

.....

.....

.....

.....

.....

ნაწილი III

სამრეწველო მშენებლობა

3.1. სწორი პასუხები აღნიშნეთ ✓-ით.

	სწორია
1. ქართული სამრეწველო მშენებლობა აქტიურად მიჰყვება თანამედროვე ეკონომიკურ გამოწვევებს.	
2. შპს „მეტეხის კერამიკა“ ოცდახუთი სახის აგურსა და ბლოკს აწარმოებს.	
3. შუა საუკუნეების საქართველოში ხიდები ქვითა და კირის მტკიცე დუღაბით იყო აშენებული.	
4. კასპის რაიონის სოფელ მეტეხში 2017 წლიდან ფუნქციონირებს ევროპული დონის ქართული აგურის საწარმო.	
5. უკრაინის სამშენებლო კომპანიის ვებგვერდზე თუ შეხვალთ, ნახავთ ინფორმაციას თბილისის ბეტონისა და კასპის ქვის სამსხვრევი ქარხნების შესახებ.	
6. ჩვენს ქვეყანაში არ მიმდინარეობს გვირაბების, გზების, ხიდების შეკეთება, არც რამდენიმე ახალი საწარმოსა და ქარხნის გახსნა არის დაგეგმილი.	

3.2. ჩასვით გამოტოვებული სიტყვები შესაბამისი ფორმით:

წარმოება ნაგლინი ქარხანა ინდუსტრიული ცემენტი 10-ბალიანი

1. კასპის ცემენტის ქარხანა საუკეთესო ხარისხის ცემენტს
2. რუსთავის ცემენტის კონსტრუქციის სიმაღლე 60 მეტრია.
3. კასპისა და რუსთავის ცემენტის ქარხნების მთავარი კონსტრუქტორის — ნოდარ ედიშერაშვილის — თქმით, ორივე კონსტრუქცია მყარი და საიმედოა: მიწისძვრასაც კი გაუძლებს.
4. კასპის ქარხნის კონსტრუქციის სიმაღლე 30 მეტრია.
5. მეტალურგიული ქარხანა თავდაპირველად ამზადებდა და დიდი დიამეტრის მილებს.
6. ისტორიული ბოსტანქალაქის ადგილზე ქალაქია აშენებული.

3.3. მოცემული სიტყვების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

საწარმო	ფოლადი	კირი	დულაბი	მეტალურგია
დაგეგმილი	თაღოვანი	ფუნქციონირებს		

ნიმუში: კასპის ცემენტის ქარხანა 1931 წლიდან ფუნქციონირებს.

1.
2.
3.
4.
5.
6.
7.

3.4. წაიკითხეთ წინადადებები. მოცემილი ორი ფორმიდან ხაზი გაუსვით სწორ ფორმას:

ნიმუში: თანამედროვე ტექნოლოგიებით აშენებული / განლაგებული ხიდები უსაფრთხოა.

1. ქართული **სამრეწველო/ურყევი** მშენებლობა ფეხდაფეხ მიჰყვება ეკონომიკის თანამედროვე გამოწვევებს.
2. საქართველოს სამშენებლო კომპანიის პრეზიდენტის განცხადებით, 2020 წელს 3 ახალი ქარხნის აშენებაა **შენახული/დაგეგმილი**.
3. კასპის ცემენტის ქარხნის მტვერი ქალაქში ჰაერს აბინძურებს, რის გამოც ბევრი დაავადება არის **გავრცელებული /განლაგებული**.
4. შპს „მეტეხის კერამიკის“ მიერ **წარმოებული /დაგეგმილი** აგური მართლაც საუკეთესო ხარისხისაა.
5. ქვის **სამსხვრევი /აშენებული** ქარხანა სოფელ ჩანგილარში მდებარეობს.
6. ცემენტის ბაზაზე **მიღებული /გავრცელებული** ბეტონი თბილისში, ავჭალის დასახლებაში მდებარე ბეტონის ქარხანაში იწარმოება.
7. ავჭალის მოსახლეობა წუხს ბეტონის ქარხნის მიერ **დაბინძურებული /აღდგენილი** ჰაერის გამო.

3.5. დაასათურეთ ფოტოები შესაბამისი ტექსტის მიხედვით:

№.....



№.....

1) „მე იოსებ წიკლაური ვარ. კასპში ვცხოვრობ. მყავს მეუღლე — ვარდიკო დათუაშვილი და სამი შვილი: ნატო, ზაზა და სოლომონი. 1978 წლიდან 2010 წლამდე კასპის ცემენტის ქარხნის ელექტრო-ტექნიკური განყოფილების ხელმძღვანელი და მთავარი სპეციალისტი ვიყავი; ასე მგონია, მთელი ცხოვრება იქ მაქვს გატარებული... ქარხნის მშენებლობა 1926 წელს დაიწყო, 1931 წლის 25 თებერვალს იგი საბეიმოდ გაიხსნა. ჩვენს ქარხანაში ადგილობრივი მასალებით უმაღლესი ხარისხის — 300-400-მარკიან — ცემენტს ვამზადებდით. კასპის ცემენტი დღესაც საუკეთესოა...“

2) გერმანული კომპანიის „ჰაიდელბერგცემენტისა“ და „საქცემენტის“ დაკვეთით 2007-2008 წლებში კასპის ცემენტის ქარხანაში 2 ცალკე მდგომი ლითონის კარკასი დაამონტაჟეს. ორივე კონსტრუქცია რკინაბეტონის კარკასს ეყრდნობა. რკინაბეტონისა და ლითონის კონსტრუქციის საერთო სიმაღლე 30 მეტრია. მთავარი კონსტრუქტორისა და პროექტის ავტორის ნ. ედიშერაშვილის თქმით, ნაგებობა 9-ბაიანი მიწისძვრას გაუძლებს.

3.6. შეავსეთ გამოტოვებული ასოები ისე, რომ მიიღოთ ახალი სიტყვები:

ს		წ	ა	რ			ს	ა	შ		წ	ა		ო
		შ	ე	ტ		უ		ი	ა					
ე														
ბ	ა		ე	შ	ნ									
ს							დ	უ		ა	ბ			
			ა		ბ									
	ე		რ	ს	ნ									
							ნ		შ		ტ			
			ს		ს	ა	რ	ე						

3.7. გახსენით ფრჩხილი და ჩასვით მოცემული სიტყვა თანდებულიანი ფორმით:

ნიმუში: მეტალურგიული ქარხანა რომ ვნახე, მეც **თქვენსავით** გაოცებული დავრჩი. [თქვენ]

1. მშენებლობის საკითხში არავინ ერკვევა. [მას]
2. კირის დულაბი რკინის მტკიცეა. [კონსტრუქცია]
3. ატომური აფეთქება დამანგრეველია. [მიწისძვრა]
4. მეც მომწონს თაღოვანი ხიდები. [შენ]
5. ეს გზა ბნელია. [გვირაბი]
6. სამშენებლო საქმე კარგად არავინ იცის. [ჩვენ]
7. მეც მინდა მშენებელი გამოვიდე. [თქვენ]

3.8. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მოცემული ზმნები; უპასუხეთ კითხვებს: რას შვრებოდეს? რას შვრებოდნენ?

ნიმუში: ყველა მშენებელი უსაფრთხოების წესებს უნდა **იცავდეს**. [იცავდა]

1. ხიდის უსაფრთხოებას პერიოდულად სპეციალისტები უნდა [აკონტროლებდა]

2. რუსთავის მეტალურგიული ქარხანა უმაღლესი ხარისხის ფოლადს უნდა
[აწარმოებდა]
3. დახარჯულ ენერჯიას საწარმო სწრაფად უნდა [აღადგენდა]
4. საომარ ვითარებაში ყველა ქარხანა უწყვეტ რეჟიმში უნდა [ფუნქციონირებდა]
5. ტექნოლოგიურ სიახლეებს სატრანსპორტო კომპანიები ფეხდაფეხ უნდა
[მიჰყვებოდა]
6. არც ერთ მშენებელს არ სურს მშენებლობა ნელ ტემპში [მიმდინარეობდა]
7. კარგი ოსტატის აგებული ნაგებობა საუკუნეებს უნდა [უძლებდა]
8. თუ სამშენებლო ინფრასტრუქტურა გამართულია, კონსტრუქტორს აღარ უნდა
[ემინოდა]
9. მშენებლობის დაწყებამდე გზა უნდა [გაკეთდა]

3.9. შეავსეთ მოცემული ინფორმაცია და შექმენით მოკლე ტექსტი რუსთავის ცემენტის ქარხნის შესახებ:

- რუსთავის ცემენტის ქარხანა წელიწადში 400 000 ტონა ცემენტს აწარმოებს.
- რუსთავის, კასპისა და ფოთის ცემენტის ქარხნები გერმანული კომპანიის — „ჰაიდელბერგცემენტის“ — საკუთრებაა.
- თავდაპირველად რუსთავის ცემენტის ქარხნის კონსტრუქცია გერმანიაში იყო აგებული.
- გერმანიის ქალაქ კიფერსფელდიდან ცემენტის ქარხნის კონსტრუქცია საქართველოში (რუსთავში) ჩამოიტანეს და ააწყვეს.

.....

.....

.....

.....

.....

3.10. შეავსეთ ცხრილი მოცემული ტექსტის მიხედვით:



ახალი ხიდი კოსტავას ქუჩაზე

ახალი ხიდი კოსტავას ქუჩაზე

2009 წელს თბილისში კოსტავას ქუჩაზე ახალი ხიდი დამონტაჟდა. ხიდი ახლადაშენებულ სავაჭრო ცენტრსა და ფილარმონიის შენობას აკავშირებს. ხიდის სიგრძე 27 მეტრია, წონა – 10 ტონა; ხიდის ავტორისა და მთავარი კონსტრუქტორის – ნოდარ ედიშერაშვილის – გადმოცემით, კონსტრუქცია რუსთავში დაამზადეს და კოსტავას ქუჩაზე ააწვეს.

ინფორმაცია ხიდის შესახებ:	
პროექტის ავტორი:	
დამზადების ადგილი:	
მონტაჟის ადგილი:	
წელი:	
ქალაქი:	
ქუჩა:	
ხიდის სიგრძე:	
ხიდის წონა:	
რომელ შენობებს აკავშირებს:	

ტაპი II

შენობის ძირითადი მზიდი კონსტრუქციული ნაწილები

ნაწილი I

საძირკვლის ტიპები

1.1. ჩასვით მოცემული სიტყვები სათანადო ადგილას:

წერტილოვანი	ლენტური	გეოლოგიური	აბომვითი	ძელური
	განგარიშებული	მზიდი	კლდოვანი	

ნიმუში: გიორგიმ თავისი სახლის ლენტური საძირკვლის ჩასასხმელად კლდოვანი ნიადაგი აირჩია.

1. აბომვითი სამუშაოების დაწყებამდე აუცილებლად უნდა ჩატარდეს ნიადაგის გეოდეზიური და
..... კვლევა.
2. საძირკველი სახლის ძირითადი კონსტრუქციაა, რომელზედაც განლაგებულია შენობის
..... კედლები და სვეტები.
3. საძირკვლის სხვადასხვა სახეობა არსებობს: მთლიანი
ფილისა და ხიმინჯების კონსტრუქციებით.
4. არქიტექტორს ნახაზების შესადგენად რამდენიმე კვირა დასჭირდება.
5. ხიმინჯოვანი საძირკველი ნიადაგში მოთავსებული ხის ან ლითონის
ელემენტებისგან შედგება.
6. სამშენებლო პროექტების განყოფილების თანამშრომლები ვალდებული არიან, დაგვეხმარონ
დატვირთვაზე საძირკვლის ტიპის შერჩევაში.

1.2. შეაერთეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: 1-8: ნუცუბიძის პლატოზე მიწისძვრისგან დამიანებული სახლის საძირკველი ხიმინჯებით გაამაგრეს.

1. ~~თბილისში, ნუცუბიძის პლატოზე მიწისძვრისგან დამიანებული სახლის საძირკველი~~
2. სახლის აშენებას საკუთარი ხელით ვაპირებ,
3. საძირკველი რკინაბეტონის კონსტრუქციაა,
4. სამშენებლო მასალის ყიდვა ხვალვე შეგვიძლია,
5. ბოლო დროს ძალიან პოპულარულია ლენტური საძირკველი,
6. წერტილოვანი საძირკველი ცალ-ცალკე მდგომი სვეტების, ბოძებისა
7. პროექტი არქიტექტორთან უნდა შეათანხმო,

- ა. მაგრამ მანამდე ნაკვეთის მომზადება და საძირკვლის გაანგარიშებაა აუცილებელი!
- ბ. რომლის სიგანეც მზიდი კედლის ზომისა უნდა იყოს.
- გ. რადგან ადვილია მისი მოწყობა წერტილოვან და ხიმინჯოვან საძირკვლის ტიპთან შედარებით.
- დ. და დგარების ქვეშ ეწყობა.
- ე. ამიტომ გადაწყვიტე, ჯერ საძირკვლის ტიპები შევისწავლო.
- ვ. მაგრამ ხომ იცი, არქიტექტორის კონსულტაცია ფასიანია!
- ზ. ხიმინჯებით გაამაგრეს.

1.3. დაწერეთ მოცემული წინადადებები წარსულ და მომავალ დროში:

ნიმუში: დღეს /ახლა არქიტექტორი ჩვენი სახლის პროექტს ხაზავს.
 გუშინ არქიტექტორმა ჩვენი სახლის პროექტი დახაზა.
 ხვალ არქიტექტორი ჩვენი სახლის პროექტს დახაზავს.

- 1. დღეს ლევანი მიწის ნაკვეთზე აზომვით სამუშაოებს იწყებს.
 გუშინ
 ხვალ
- 2. გიორგი არქიტექტორს ურეკავს.
 გუშინ
 ხვალ
- 3. ბანკის თანამშრომელი რუსუდანთან კონტრაქტს აფორმებს.
 გუშინ
 ხვალ
- 4. დღეს მშენებელ მუშებთან შეხვედრას ვგეგმავ.
 გუშინ
 ხვალ

1.4. ჩასვით გამოტოვებული სიტყვები სათანადო ადგილას:

წინადაგი	ნებართვა	მუშა	ხიმინჯი	სიმტკიცე
	ბოძი	დატვირთვა		

ნიმუში: დატვირთვაზე გაანგარიშებული საძირკვლის ტიპის განსაზღვრა მშენებლობის უმნიშვნელოვანესი ეტაპია.

1. მშენებლობის გაცემის წესს სახელმწიფო სამშენებლო კომპანია არეგულირებს.
2. შენობის მყარი საძირკველი განსაზღვრავს.
3. იგივეა, რაც მიწაში ჩარჭობილი ბოძი, რომელიც შენობის დატვირთვის გრუნტს გადასცემს.
4. გიორგი, ჩვენი სახლის ხიმინჯოვანი საძირკველისთვის 15საკმარისი იქნება?
5. იმისთვის, რომ დროულად დასრულდეს 3 წლის წინ დაწყებული პროექტი, ალბათ სჯობს, კიდევ 10 დავამატოთ ჩვენს ბრიგადას.
6. არქიტექტორის მოვალეობაა, განსაზღვროს ტიპი და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყოს პროექტზე მუშაობა.

1.5. შეაერთეთ წინადადებები მოცემული კავშირების მიხედვით (რომელიც, სადაც, რადგან, იმიტომ რომ):

1. პროექტის შედგენამ დიდი დრო წაიღო.
საკმაოდ რთული კონსტრუქციის აგება უნდოდათ.
.....
2. იმ არქიტექტორის ნომერი მჭირდება.
გიორგის სახლის პროექტზე მუშაობს.
.....
3. სახლს არ ავაშენებ იქ.
ძირითადად, კლდოვანი ნიადაგია.
.....
4. ქალაქგარეთ გადავწყვიტეთ სახლის აშენება.
ქალაქის ცენტრში, სივიწროვის გარდა, მანქანების ხმაური და მტვერი გვაწუხებს.
.....

1.6. გამოთვებულ ადგილას ჩასვით სიტყვები: არავინ, ნურავინ, ვერავინ, არაფერი.

ნიმუში: ფუნდამენტის სიმტკიცისათვის *არავინ* იყენებს მხოლოდ ქვის მასალას.

1. ნიადაგის გეოლოგიური და გეოდეზიური კვლევების გარეშე დღეს იწყებს სახლის მშენებლობას.

მშენებლობა

2. შეეწინააღმდეგება ბინების მშენებლობას ეკოლოგიურად სუფთა უბანში!
3. სჯობს ახალ ბინაში ცხოვრებას.
4. ნუ გეშინია, შრომის დროს მოგივა.
5. თუ სახლი არ ჩაიბარეს, გიშველის.
6. ეგონება, რომ არქიტექტორის პროფესია დიდ შრომას არ მოითხოვს.
7. საბინაო მშენებლობას აქვს საერთო მანქანათმშენებლობასთან.
8. ექნება იმის იმედი, რომ ახალ სახლს უფასოდ მიიღებს.
9. შევიდეს არქიტექტორის კაბინეტში!
10. სამსახურის შემდეგ გაკეთება არ შემოიძლია.

1.7. მოცემული შესიტყვებები ჩასვით წინადადებებში:

ნიმუში: ფუნდამენტის სიმტკიცისათვის **არავინ** იყენებს მხოლოდ ქვის მასალას.

- საძირკვლის ჩაყრა
- დიდი დრო წაიღო
- პროექტის მიხედვით
- კონსულტაციის მიღება
- საძირკვლის მთლიანი ფილის დასხმა
- სამშენებლო ნებართვის აღება
- საცხოვრებელი პირობები

1. გამჯობესების მიზნით ახალგაზრდა წყვილმა ბანკიდან კრედიტი აიღო.
2. აზომვითი სამუშაოები დასრულებულია, ნიადაგიც შესწავლილია გეოლოგიურად და გეოდებზურად, ახლა უკვე შეგვიძლია დავიწყოთ.
3. აქ სამზარეულო უნდა იყოს, აქ კი – სააბაზანო.
4. სამშენებლო ნებართვის აღებამ
.....
5. მხოლოდ არქიტექტორს ვერ ვენდობი. მშენებლობაზე გამოცდილი და პროფესიონალი მუშისგანაც მინდა
6. ხიმინჯოვანი საძირკველი არ ყოფილა საიმედო, ექსპერტმა
..... მირჩია.
7. 600 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი მაქვს სოფელ დილომში, ისეთი სუფთა ჰაერია, ძალიან

მინდა, საცხოვრებლად გადასვლა. სახლის ასაშენებლად ჯერ პროექტს მოვიფიქრებ, არქიტექტორს დაველაპარაკები, შემდეგ კი
..... მაქვს დაგეგმილი.

1.7. ა) დააკავშირეთ სინონიმური წყვილები:

<p><u>1. აშენება</u></p> <p>2. მენეჯერი</p> <p>3. საძირკველი</p> <p>4. ძირითადი</p> <p>5. სიმყარე</p>	<p>ა. მთავარი</p> <p>ბ. სიმტკიცე</p> <p>გ. ფუნდამენტი</p> <p>დ. მმართველი</p> <p><u>ე. აგება</u></p>
---	--

ბ) მიღებული სინონიმური წყვილების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

1. ლითონის კონსტრუქციის აგება გაცილებით უფრო მარტივია, ვიდრე – სახლის აშენება.
2.
3.
4.
5.

1.8. წარმოიდგინეთ, რომ სამშენებლო კომპანიის პროექტების მენეჯერი ხართ და გაქვთ სამი შეკვეთა: საკუთარი სახლი – ქალაქის გარეუბანში, მაღალსართულიანი კორპუსი – ქალაქის ცენტრში და ხის სახლი – სოფლად. დაწერეთ, რომელი შენობისთვის რა ტიპის საძირკველს ჩაასხამთ; პასუხი დაასაბუთეთ.

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

აგურისა და ბლოკის კედლები

2.1. შეავსეთ გამოტოვებული ასოები სახელმძღვანელოში ნასწავლი ახალი სიტყვების მიხედვით (გაითვალისწინეთ, რომ ყოველი მათგანი პასუხობს კითხვაზე: როგორი?):

ს				კ	ა	ტ	რ					
				ე		ო				ი	უ	რ
						ბ			ფ	ვ		
						ო		წ	ვ			
						რ			ვ			
დ				ფ				მ	უ	რ		

2.2. მოცემული სიტყვები ჩასვით სათანადო ადგილას:

თიხა ქვიშა-ცემენტის პრეტენზიებს ეკოლოგიურად პროტესტს ცემენტი

1. სახლის კედლები მშენებლებმა - სხნარით ამოიყვანეს.
2. სამშენებლო ბლოკის დასამზადებლად გამოიყენება.
3. ადგილობრივი მოსახლეობა გამოთქვამს უცხოური სამშენებლო კომპანიის მიმართ.
4. აგური სუფთა სამშენებლო მასალაა.
5. თუ უცხოელი ბიზნესმენი სურამის ტყის ნაწილს იყიდის, ადგილობრივი მოსახლეობა აუცილებლად გამოხატავს.
6. აგურის დასამზადებლად გამოიწვარი არის საჭირო.

2.3. ხაზი გაუსვით სწორ ფორმას:

ნიმუში: ამ კვირაში ხელოსნებმა წერტილოვანი საძირკველი უნდა ჩაასხან / ჩაასხამენ.


1. მზიდი კედლები ქვიშა-ცემენტის სხნარით უნდა ამოვიყვანოთ / ამოვიყვანო.
2. აგურის სახლს ბლოკის სახლთან შედარებით დიდი უპირატესობა აქვს, ამიტომ სოფელში ჩვენი სახლი ქართული აგურით უნდა ავაშენოთ / ავაშენებო.
3. ეკოლოგიურად სუფთა მასალაზე შევაჩერეთ, ამიტომ მუხის იატაკს უნდა დავაგოთ / დავაგებო.
4. თოჯინების თეატრის მშენებლობა 3 წლის წინ დაიწყეს და 2020 წლამდე უნდა დაასრულონ / დაასრულებენ.
5. ეკოლოგიურად დაბინძურებული გარემო ყველა ჩვენგანის პრობლემა უნდა იყოს / იქნება.

2.4. ჩასვით ზმნები სწორი ფორმით და შეადგინეთ წინადადებები:

გამოყენება	გაპროტესტება	დაპროექტება
დამონტაჟება	დაპირება	შეხვედრა

1. ლენტეხელები „ხელედულა-ჰესის“ მშენებლობას
2. პრეზიდენტობის კანდიდატი დღეს ჩვენი სოფლის მოსახლეობას უნდა
3. უმაღლესი ხარისხის აგურის საწარმოებლად შპს „ქართული კერამიკა“ მხოლოდ ადგილობრივ, ეკოლოგიურად სუფთა მასალებს
4. მესტიის თამარ მეფის აეროპორტი 2011 წელს
5. მშვიდობის ხიდი 2009-2010 წლებში იტალიელმა არქიტექტორმა და დიზაინერმა მიკელე დე ლუკმა საქართველოს მთავრობის დაკვეთით.
6. გამგებელი 5 წლის წინ სოფელს მეფრინველეობის ფაბრიკის გახსნას, მაგრამ პირობა პირობად დარჩა.

2.5. დააკავშირეთ საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები და შეადგინეთ წინადადებები:



1.
2.
3.
4.
5.

2.6. დააკავშირეთ შესაბამისი სიტყვები და შეადგინეთ წინადადებები „ანუ“ კავშირის გამოყენებით:

<p>1. სამშენებლო</p> <p>2. გამომწვარი</p> <p>3. სილიკატური</p> <p>4. ეკოლოგიურად</p> <p>5. კედლის</p>	<p>ა. თიხა</p> <p>ბ. დაბინძურებული</p> <p>გ. განივი წყობა</p> <p>დ. აგური</p> <p>ე. ნარჩენები</p>
--	--

ნიმუში. სამშენებლო ნარჩენები, ანუ მშენებლობაზე საშენი მასალისგან დარჩენილი ნაწილები ბლოკის დასამზადებლად გამოიყენება.

1.
2.
3.
4.

2.7. მახასიათებელი ნიშნების მიხედვით შეავსეთ ცხრილი:

.....	
განივი	გრძივი

.....				
მზადდება ცემენტისგან	მზადდება სამშენებლო ნარჩენებისგან	არ არის ეკოლოგიურად სუფთა	ეკოლოგიურად სუფთაა	შეიძლება იყოს სილიკატური	მზადდება გამომწვარი თიხისგან

2.8. მოცემული დიალოგები შეცვალეთ ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში:

- გიორგი, მოდიხარ ახალი პროექტის პრეზენტაციაზე?
- კი, აუცილებლად წამოვალ!

გიორგიმ თქვა, ახალი პროექტის პრეზენტაციაზე აუცილებლად წამოვალ.

1. — ნინო, როდის წავიდეთ ვასპის ცემენტის ქარხნის დასათვალიერებლად?
- ორშაბათს წავიდეთ.

.....

- 2. — ანა, ხომ არ გახსოვს, ვინ არის პრეზიდენტის სასახლის არქიტექტორი?
— კი, პრეზიდენტის სასახლე იტალიელმა არქიტექტორმა მიკელე დე ლუკმა დააპროექტა.

.....

- 3. — ცოტნე, ახლა სად მუშაობს ქართველი არქიტექტორი დიმიტრი ჭაავა?
— დიმიტრი ჭაავა ლონდონის ყველაზე ცნობილ არქიტექტურულ კომპანიაში მუშაობს.

.....

2.9. მოცემული შესიტყვებებით შეადგინეთ ტექსტი:

*უნდა დაამონტაჟოს უნდა გამოიყენოს უნდა გავაპროტესტოთ უნდა შევხვდეთ
უნდა დაგპირდეთ უნდა დააპროექტონ უნდა ავაშენოთ უნდა ვისაუბროთ*

.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....

სახურავი და სართულშუა გადახურვა

3.1. ა) აწარმოეთ ზმნური ფორმები მოცემული ნიმუშის მიხედვით:

გუშინ	დღეს	ხვალ	ჯერ არ/არასდროს
დაათვალიერა	ათვალიერებს	დაათვალიერებს	დაუთვალიერებია
		შეაჩერებს	
ააშენა			
	ამთავრებს		
დაიწყო			

ბ) მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინეთ ხუთ-ხუთი წინადადება ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: გამოყენება

(მე): ჩინური ცემენტი მშენებლობაზე არასდროს გამოიყენებია.

(შენ): ჯერ არ გამოგიყენებია კერხერის სამშენებლო მტვერსასრუტი?

(მას): გიორგის ისევ აქვს 1 წლის წინ ნაყიდი ლურსმნები, ჯერ არ გამოუყენებია.

(ჩვენ): კარგი ხარისხისაა ეს ცემენტი? ჩვენ არასდროს გამოგიყენებია.

(თქვენ): არასდროს გამოგიყენებიათ ჩვენი სარემონტო მასალები? თუ შეიძენთ, არ ინანებთ!

1. დათვალიერება

1.
2.
3.
4.
5.

2. შეჩერება

1.
2.
3.
4.
5.

3. აშენება

- 1.
- 2.
- 3.
- 4.
- 5.

4. დამთავრება

- 1.
- 2.
- 3.
- 4.
- 5.

5. დაწყება

- 1.
- 2.
- 3.
- 4.
- 5.

3.2. შეადგინეთ წინადადებები მოცემული სიტყვების გამოყენებით:

ნიმუში: თვალეები, აჭრელები: თვალეები ამიჭრელდა, დღეს მეტს აღარ წავიკითხავ.

- 1. კონსტრუქცია, დამონტაჟება, გვინდა:
- 2. წინადადება, შედგენა, აუცილებელია:
- 3. სახურავი, გადახურვა, დასრულებულია:
- 4. სახურავი, არჩევა, რთულია:
- 5. განცხადებები, კითხვა, დამღლელია:

3.3. ჩასვით მოცემული სიტყვები სათანადო ადგილას:

**გადახურული მანსარდული მოთუთიებული მოჭიქული
ფანტასტიკური საპასუხისმგებლო დახრილი ღარიანი**

1. თუკი სახლს სახურავით გადახურავთ, კიდევ ერთი დიდი ოთახი დაგვემატება.
2. საქართველოში თავდაპირველად ბრტყელი და კრამიტი ყოფილა გავრცელებული.
3. გიორგის სახლის აივნისა და ხედი იშლება, კავკასიონიც კი ჩანს.
4. ჩვენი სახლის მანსარდული სახურავი რამდენიმე მიმართულებით არის
5. მცხეთას ძალიან უხდება კრამიტით სახლები.
6. მე-10 საუკუნის საქართველოში ფერად და კრამიტსაც ამზადებდნენ.
7. მყარი და საიმედო საძირკვლის ჩასხმა, შეიძლება ითქვას, უმნიშვნელოვანესი და საქმეა.
8. კომპანიაში „აშენდი“ თქვენ შეგიძლიათ იყიდოთ როგორც ფოლადის ფურცლები სახურავისთვის, ასევე, სხვადასხვა ფერის მეტალოკრამიტი, ქსნის ე.წ. იტალიური კრამიტი და სხვ.

3.4. ჩასვით გამოტოვებული ასოები ისე, რომ მიიღოთ მოცემული თავის ახალი სიტყვები:

მ			ს	რ	მ			ვ		ბ	მ	
მ			ს	რ	მ	ი	ტ					
				ვ	რ	ა	მ					
											ს	

3.5. გამოიყენოთ სიტყვები — „მიმართ“, „უნდა“ და გადააკეთეთ წინადადებები:

ნიმუში: კომპანიის ხელმძღვანელის შვილს სამშენებლო საქმის ინტერესი აქვს.
 კომპანიის ხელმძღვანელის შვილს სამშენებლო საქმის მიმართ ინტერესი უნდა ჰქონდეს.

1. ეკას სამშენებლო კომპანიისადმი პრეტენზია არ აქვს.

.....

2. გაგას სახურავის მასალა შერჩევის რაიმე ინტერესი არ აქვს.

.....

3. „თემქის“ ტერიტორიის პროექტების ავტორი, ნინო ასათიანი, კრიტიკულად არის განწყობილი თანამედროვე არქიტექტურისადმი.

.....

4. სახლის მეპატრონე არაპროფესიონალი ხელოსნებისადმი ცუდად არის განწყობილი.

.....

3.6. ჩასვით გამოტოვებული სიტყვები ნიმუშის მიხედვით:

შექნა დათვალიერება უზრუნველყოფა ყიდვა შერჩევა დასრულება გამოყენება

ნიმუში:

– უკაცრავად, სახურავისთვის ქართული **კრამიტი** **გვინდა**, ხომ არ იცით, სად იყიდება?

– უკაცრავად, სახურავისთვის ქართული კრამიტის **შექნა გვინდა**, ხომ არ იცით, სად იყიდება?

1. სახლის აშენებამდე საპროექტო **ტერიტორია** **გვინდა**; ვნახოთ, საიდან ამოდის მზე, საიდან უბერავს ქარი და სხვ.

2. ლევან, საუკეთესო ხარისხის **საშენი მასალები** **მინდა**, რომელ მაღაზიას მივჩვენო?

3. ჩემს სახლს ქართული აგურით, უმაღლესი ხარისხის რკინაბეტონითა და ჰაიდელბერგის ცემენტით ვაშენებ, ამ გზით **მინდა** შენობის **მზიდუნარიანობა**

4. გამომყვები ხვალ ელიავას ბაზრობაზე? სართულშუა გადახურვისთვის ხარისხიანი **მასალა**
..... **მინდა**.

5. ძალიან **მინდა** ამ **პროექტის**, ჩაბარების ვადა მარტის ბოლომდეა.

6. არ მესმის, რა საჭიროა და რისთვის **გინდა** ძველი **აგური**

3.7. დააკავშირეთ ანტონიმები და შეადგინეთ წინადადებები:

- 1. იაფფასიანი
- 2. დახრილი
- 3. ნახმარი
- 4. რბილი
- 5. თხელი
- 6. საინტერესო
- 7. სერიოზული
- 8. ქართული

- ა) მაგარი
- ბ) უცხოური
- გ) სქელი
- დ) ძვირი
- ე) უინტერესო
- ვ) ახალი
- ზ) სწორი
- თ) არასერიოზული



- 1.
- 2.
- 3.
- 4.
- 5.
- 6.
- 7.
- 8.

3.8. შეცვალეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: ქართულ სამშენებლო კომპანიას შემდეგი წლიდან უნდა პროექტის დაწყება.
 ქართულმა სამშენებლო კომპანიამ შემდეგი წლიდან უნდა დაიწყოს პროექტი.

- 1. გუშინ ძლიერმა ქარმა ჩემს სოფელში რამდენიმე სახლის სახურავი დააზიანა, მეზობელს სასწრაფოდ უნდა თავისი სახლის სახურავის შეკეთება.

- 2. კვეტარის ეკლესიის მსგავსად ცისფერი კრამიტით გვინდა ჩვენი სოფლის ეკლესიის გადახურვაც.

- 3. „საქკრამიტის“ ხელმძღვანელს „ექსპო-ჯორჯიაში“ საშენი მასალების გამოფენა-გაყიდვაზე ქართული ფერადი და მოჭიქული კრამიტის გატანა უნდა.

4. — გამარჯობა, ვაკე-საბურთალოს ახალი გზით უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსთან **მინდა მისვლა**, რა ღირს მგზავრობა?

.....

5. ლევანს სართულშუა გადახურვისთვის საჭირო მასალების **ყიდვა უნდა**, თუმცა, ჩემი აზრით, ჯერ ადრეა ამაზე ფიქრი.

.....

3.9. შეცვალეთ წინადადებები, გამოიყენეთ ნაწილაკი -ო:

ნიმუში: არქიტექტორი: „ამ ტერიტორიაზე სასტუმროს აშენება არ შეიძლება!“
არქიტექტორმა თქვა, ამ ტერიტორიაზე სასტუმროს აშენება არ შეიძლებაო.

1. მარიამი: „იაპონიაში გუშინ მიწისძვრა მომხდარა!“

.....

2. დავითი: „სამშენებლო კომპანიის სპეციალისტების მიერ ყველაფერი გათვლილია!“

.....

3. ხელოსანი: „იატაკის ფენილი სართულშუა გადახურვაზე ეწყობა.“

.....

4. ელენე: „ჩემი საძინებლის აივნიდან ფანტასტიკური ხედი იშლება.“

.....

5. მარიამი: „ხელოსანმა სამზარეულოში – კერამიკული ფილის, შემოსასვლელში კი მარმარილოს დაგება მირჩია.“

.....

6. დავითი: „კომპანია „ალაგაფა“ ჩვენს ეზოში მწვანე ზონის გაშენებას აპირებს.“

.....

7. ლევანი: „პროექტის შეცვლა მინდა, წავალ, არქიტექტორს დაველაპარაკები.“

.....

3.10. იმსჯელეთ საკითხზე: მთავრდება თუ არა სახლი გადახურვით?

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

თავი III საშენი მასალები

ნანილი I

მზიდი კონსტრუქციების მასალები

1.1. არეული ასოები დაალაგეთ ისე, რომ მიიღოთ სახელმძღვანელოს შესაბამის თავში (3.1.) მოცემული ახალი სიტყვები:

<p>1. აკეჟაინმ</p> <p>↓</p> <p>5. რქაემნია</p> <p>↓</p>	<p>2. ესმხნებაო</p> <p>↓</p> <p>6. კსმვევიირუ</p> <p>↓</p>	<p>3. აიტრსავრეაც</p> <p>↓</p> <p>7. ერდააკდბო</p> <p>↓</p>	<p>4. ჟტანდომეი</p> <p>↓</p> <p>8. დმარგდოაბ</p> <p>↓</p>
---	--	---	---

1.2. ჩასვით გამოტოვებული სიტყვები სათანადო ფორმით:

სეისმურობა კრისტალური აქტუალური პლენარული დასაქმებული მაღლივ
თავმჯდომარე დაფინანსებული კონსტრუქციული იმპორტული


1. ბაქოს დარბაზი ევროვიზიის კონცერტის ჩასატარებლად აშენდა და საზეიმოდ გაიხსნა 2012 წლის 16 აპრილს.
2. ვასპის ცემენტის ქარხანაში დამონტაჟებული, ცალკე მდგომი ლითონის კარკასის სიმაღლე 30 მეტრია, ..
..... კი - 9 ბალი.
3. ბეტონი, რკინაბეტონი, ლითონი, აგური და ქვა
..... სამშენებლო მასალებია.
4. თეთრ აგურს ქართული ვასპის აგური სჯობს.
5. უნივერსიტეტის რექტორი რატომ არ ესწრებოდა სხდომას?
6. რატომ ფიქრობ, რომ ეს საკითხი არ არის? რადგან გაინტერესებს, ესე იგი, შენტვის მნიშვნელოვანია და აუცილებლად უნდა შეისწავლო!
7. არქიტექტორმა თქვა, რომ ქარი და მიწისძვრა საფრთხეს უქმნის შენობებს.



მშენებლობა

- 8. ფონდის მიერ სამშენებლო პროექტები ხშირად კრიტიკის ობიექტი ხდება.
- 9. ჩვენი კორპუსის დღესაც მერიაში მიდის ჩვენი ეზოს გამწვანების პროექტის დასამტკიცებლად.
- 10. კასპის ცემენტის ქარხანაში 700-მდე ადამიანია

1.3. დააკავშირეთ სიტყვები და შეადგინეთ წინადადებები:



ნიმუში: 1 – გ: თავმჯდომარემ პლენარულ სხდომაზე იმპორტული სამშენებლო მასალების დადებით და უარყოფით მხარეებზე ისაუბრა.

- 1.
- 2.
- 3.
- 4.

1.4. დაასრულეთ წინადადებები, მოცემული სიტყვებიდან აირჩიეთ სწორი ვარიანტი:

ნიმუში: 1. – ა. დასაქმებულთა

ჭიათურის გვირაბში დასაქმებულთა უფლებები ხშირად ირღვევა.

- ა. დასაქმებულთა ბ. დამსაქმებელთა

1. სამუშაოები ისევ გრძელდება.

- ა. მშენებელთა ბ. სამშენებლო

2. ხვალ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მთავარ დარბაზში კონფერენციის
..... სესია გაიხსნება.

- ა. კონსტრუქციული ბ. პლენარული

3. ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციით, სოფელ ნაფეტვრებში, მდინარიდან 100-120 მეტრში, დიდი რაოდენობით ხის იყო დაყრილი.

- ა. მასალა ბ. სეისმური

4. ხომ არ იცი, იგეგმება თუ არა მიწისძვრისგან დაზიანებული შენობების

- ა. დრეკადობა
- ბ. რესტავრაცია

5. ბატონი გიორგი თარხნიშვილი სტუდენტური კონფერენციის და ერთ-ერთი ორგანიზატორია.

- ა. თავმჯდომარე
- ბ. სტუდენტი

1.5. დააკავშირეთ განმარტებები შესაბამის სიტყვებთან და შეადგინეთ წინადადებები მათი გამოყენებით:

ნიმუში: ა - ნ: კონსტრუქციული საშენი მასალები უზრუნველყოფს შენობა-ნაგებობათა სიმტკიცესა და მზიდუნარიანობას.

ა. საძირკვლების, შენობის კარკასის, კედლების გადასახური სამშენებლო მასალა (მშენებლობის დარგში)-

- ბ. მიწისძვრასთან დაკავშირებული
- გ. თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი
- დ. საზღვარგარეთიდან შემოტანილი
- ე. საერთო, გაერთიანებული (სხდომა, სესია...)
- ვ. ის, რაც დააფინანსეს, ფინანსურად უზრუნველყოფილი
- ზ. კრისტალებისგან შემდგარი

- 1. სეისმური
- 2. კრისტალური
- 3. პლენარული
- 4. აქტუალური
- 5. დაფინანსებული
- 6. კონსტრუქციული მასალები**
- 7. იმპორტული

- 1.
- 2.
- 3.
- 4.
- 5.
- 6.

1.6. გახსენით ფრჩხილი და დაასრულეთ წინადადებები:

- 1. ფილარმონიასთან ახალი ხიდის კონსტრუქცია **ჯერ არ** (დამონტაჟება).
- 2. მარჯანიშვილის თეატრის დიდ სცენაზე სპექტაკლი „ქალი ძაღლით“ **არასდროს** (დადგმა).
- 3. იაპონელ სტუდენტს **თურმე** ტოკიოს შენობათა სეისმური მდგრადობის პრობლემებზეც (საუბარი).

მხანალობა

- 4. ტექნიკურ უნივერსიტეტში ახალგაზრდა მშენებელ-კონსტრუქტორთა სტუდენტური კონფერენცია **აქამდე არ** (ჩატარება).
- 5. აზერბაიჯანელ სტუდენტს **ჯერ არ** მოხსენება ბაქოს არქიტექტურის შესახებ (წაკითხვა).
- 6. შოთა რუსთაველის გამზირზე ისტორიული შენობების რესტავრაცია **ჯერ არ** (დასრულება).
- 7. იაპონელ მეცნიერს იასუჰირო კოჯიმას ქართული ენა **თურმე** ძალიან კარგად (შესწავლა).

1.7. ჩასვით ჯერ არ / თურმე / არასდროს არ / აქამდე არ სიტყვები სათანადო ადგილას:

- 1. საქართველოს პრეზიდენტის ფინანსური მხარდაჭერით ლევილის ბიბლიოთეკაში გათბობის თანამედროვე სისტემა დაუმონტაჟებიათ.
- 2. სამშენებლო კომპანიის მშენებელთა გუნდს მზიდი კედლების ამოყვანა დაუსრულებია.
- 3. ფინანსური პრობლემების გამო საფრანგეთში ლევილის ბილიოთეკის რესტავრაცია დასრულებულა.
- 4. ჩემს ახალ სახლში ხელოსანს ჭუჭლის სარეცხი მანქანა დაუმონტაჟებია.

1.8. ჩასვით მოცემული სიტყვები საპირისპირო მნიშვნელობით, გამოიყენეთ უ—ელ აფიქსები:

ნიმუში: სანამ ნიადაგი გეოლოგიურად, საძირკვლის გათხრაზე ვერ ვიფიქრებთ.
(შესწავლილი)
სანამ ნიადაგი გეოლოგიურად **შეუსწავლეულია**, საძირკვლის გათხრაზე ვერ ვიფიქრებთ.

- 1. ახალი სამშენებლო კანონის ამოქმედებას ჩვენი სახელმწიფო შეხვდა.
(მომზადებული)
- 2. ეს პირველი და უკანასკნელი პროექტია. **(დასრულებული)**
- 3. 2008 და 2009 წლებში საქართველოს ერთ-ერთი მთავარი პრობლემა მშენებარე კორპუსები გახლდათ. **(დამთავრებული)**
- 4. მოსახელობის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ უმუშევარი. **(დასაქმებული)**
- 5. ჩვენი სკოლის დირექტორი 50 წლისაა და ჯერ ისევ **(დაოჯახებულია)**

1.9.შეასწორეთ და ჩასვით სათანადო თანდებული:

ნიმუში: პროექტის გამო მიხედვით წლის ბოლოს უნდა დასრულდეს მშენებლობა.

მიხედვით გამო მიერ შესახებ მიმართ

1. თქვენთან ჩვენი კომპანიის სამომავლო გეგმების მიერ მინდა საუბარი.
2. 2025 წლის ბიუჯეტის შესახებ თბილისის ყველა სადარბაზოს გარემონტებაა დაგეგმილი.
3. უცხოელ ინვესტორებს ეკოლოგიურად სუფთა ქართული სამშენებლო მასალების მიერ დიდი ინტერესი აქვთ.
4. ჩვენი სახლის პროექტი პროფესიონალი არქიტექტორის გამო არის შედგენილი.
5. ფინანსური პრობლემების შესახებ მრავალსართულიანი სასტუმროს მშენებლობა შეჩერებულია.

ნაწილი II

არაკონსტრუქციული მასალები

2.1. მოცემულ ცხრილში იპოვეთ და შემოხაზეთ შემდეგი სიტყვები:

ლაქსაღებავი თაბაშირი პლასტმასი კირქვა სიგრილე შპალერი მინა

თ	ა	ბ	ა	შ	ი	რ	ი	ა	მ	ჯ	კ	ლ	ნ	ვ	გ	კ	ლ	მ
ა	ს	წ	ე	პ	ლ	ლ	ე	წ	ქ	რ	ტ	ა	ყ	უ	ი	ო	პ	ი
დ	ჰ	ჰ	უ	ა	კ	კ	ი	ლ	კ	ჯ	გ	ქ	ე	რ	ტ	ყ	უ	ნ
ფ	ნ	ჰ	ტ	ლ	უ	უ	რ	კ	ჯ	კ	ჯ	ს	ჯ	ჰ	გ	ფ	დ	ა
ტ	ნ	ტ	კ	ე	უ	ი	ტ	ქ	დ	დ	გ	რ	ყ	ტ	რ	ე	წ	ქ
კ	ს	ი	გ	რ	ი	ლ	ე	ი	ო	ლ	კ	დ	კ	წ	ტ	კ	ჰ	მ
ი	წ	ტ	ე	ი	რ	ტ	ყ	უ	ჯ	ჯ	ჯ	ე	გ	ჰ	ჯ	ჯ	კ	ლ
რ	ე	ტ	გ	ს	ა	ა	დ	ს	ფ	ჰ	წ	ბ	წ	ქ	ჰ	ჯ	ლ	კ
ქ	რ	გ	გ	ფ	ფ	გ	ქ	წ	ე	რ	რ	ქ	ფ	ფ	წ	გ	ჰ	ს
ვ	ტ	კ	ტ	ფ	გ	ე	ი	ჯ	ს	გ	ქ	ვ	მ	ლ	ფ	ი	ჯ	რ
ა	ყ	უ	ჰ	პ	ლ	ა	ს	ტ	მ	ა	ს	ი	ტ	ე	უ	უ	რ	რ

2.2. შეავსეთ ცხრილი ნიმუშის მიხედვით და შეადგინეთ წინადადებები მოცემული ზმნების გამოყენებით:

გუშინ	დღეს	ხვალ	ჯერ არ/თურმე
გადაწყვიტა	წყვეტს	გადაწყვეტს	გადაუწყვეტია
			გაუკეთებია
გამოიკვლია			
		მოაპირკეთებს	
	ლესავს		

ნიმუში: ანას ვერ გადაუწყვეტია, გარემონტებული ბინა იყიდოს თუ შავი კარკასი.

1.
2.
3.
4.

2.3. ჩასვით მოცემული სიტყვები სათანადო ადგილას:

თბოიზოლაცია	ჰიდროიზოლაცია (2)	წარწერა	ტენიანობა	ნესტი
-------------	-------------------	---------	-----------	-------

1. გთავაზობთ აუზებისა და საძირკვლის
2. არქეოლოგებმა გრაკლიან გორაზე უძველესი აღმოაჩინეს.
3. ზღვისპირა სახლებში ყოველთვის არის, რადგან იქ ძალიან მაღალია.
4. სახლში ძალიან ცივა, რადგან კედლები რკინაბეტონისაა და არც არ არის გათვალისწინებული.
5. არქიტექტორმამითხრა, სახლის საძირკვლის ჩასხმამდე უნდა გავითვალისწინოთ, სხვა შემთხვევაში მიწიდან სისველე და ნესტი შემოვაო.

2.4. მოცემული სიტყვებიდან აირჩიეთ სწორი ვარიანტი და დაასრულეთ წინადადებები:

ნიმუში: 1 — ა: არქეოლოგი

არქეოლოგი ვახტანგ ლიჩელი სტუდენტებს კავკასიაში გავრცელებული უძველესი საშენი მასალების შესახებ ესაუბრა.

ა. არქეოლოგი

ბ. მეპატრონე

1. საშენი მასალებია: კერამიკა, კირი, თაბაშირი, მინა, ლაქსაღებავები, ხე და ა.შ.
ა. გაყიდული **ბ. არაკონსტრუქციული**
2. საქონელი უკან არ მიიღება!
ა. შეუსწავლელი **ბ. გაყიდული**
3. რომელ მადამიაშია ფილების ყველაზე დიდი არჩევანი?
ა. მოსაპირკეთებელი **ბ. ეფექტური**
4. სახლის კედლები აგურით მინდა გავაფორმო.
ა. არაკონსტრუქციული **ბ. დეკორაციული**
5. **კერამიკული მასალებია:** მოსაპირკეთებელი ფილები, კრამიტი, დეკორაციული აგური.
ა. ეფექტური **ბ. სპეციალური დანიშნულების**

2.5. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი ნიმუშის მიხედვით:

ხომ კარგი აზრია იატაკის აგურით	1. აპირკეთებს? <u>2. მოპირკეთება?</u> 3. მოუპირკეთებია?
კედლები და ჭერი ქართული თაბაშირით	1. ვლესავთ. 2. შევლესეთ. 3. შევლესავთ.
„კაპაროლის“ ლაქსაღებავები ჯერ არ	1. გამომიყენებია. 2. გამოვიყენებ. 3. ვიყენებ.
ქართული კრამიტით მინდა სახლის	1. გადავხურე. 2. გადახურვა. 3. გადახურავს.
ჩემი სახლისთვის ინდუსტრიული სტილის დიზაინი შევარჩიე, ამიტომ ოთახებს თეთრი ან წითელი აგურით	1. მოვაპირკეთებ. 2. მოვაპირკეთე. 3. მოპირკეთება.
ხელოსანმა მომატყუა, როცა მითხრა კედლების შელესვას 10 დღეში	1. დასრულება. 2. დავასრულე. 3. დავასრულებო.

2.6. ჩასვით მოცემული სიტყვები შესაბამის ადგილას, გამოიყენეთ ზმნური ფორმა — „შეიძლება“:

ნიმუში: ხვალ შეიძლება ელიავას ბაზრობაზე წავიდე.

1. კერძო სახლების ნაცვლად მთავრობამ ახალი საცხოვრებელი კორპუსი
..... (აშენება)
2. მოდი, დავრეკოთ და ვიკითხოთ, ვინ იოანე პეტრიწის ქუჩაზე მდებარე ძველი სკოლა. (გარემონტება)
3. გიორგის ძალიან უნდა საქართველოში ჩამოსვლა, მშენებარე ბინა
..... დილომში, რომ ჩამოვა, აშენებული იქნება. (ყიდვა)
4. ქალაქ ბათუმის მერმა ჩვენი თხოვნა.
(გათვალისწინება)
5. თუ კარგად გადავუხდით, ხელოსანმა დროულად
იატაკის მოპირკეთება. (დასრულება).

2.7. შეცვალეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: **ახლა:** არქეოლოგი უძველეს ქართულ საშენ მასალებს **სწავლობს.**
ჯერ არ: არქეოლოგს უძველესი ქართული საშენი მასალები **ჯერ არ შეუსწავლია.**
შეიძლება: არქეოლოგმა **შეიძლება** უძველესი ქართული საშენი მასალები **შეისწავლოს.**

1. **ახლა:** ამერიკელი სტუდენტი ქართულად საუბრობს.
ჯერ არ:
შეიძლება:
2. **ახლა:** ჩემი ძმა დიდ დილომში საკუთარ სახლს აშენებს.
ჯერ არ:
შეიძლება:
3. **ახლა:** კასპის ცემენტის ქარხანაში „ჰაიდელბერგის“ ცემენტს ვყიდულობ.
ჯერ არ:
შეიძლება:
4. **ახლა:** კასპის ცემენტის ქარხანაში სარემონტო სამუშაოები დაიწყო.
ჯერ არ:
შეიძლება:
5. **ახლა:** ხელოსანი ახლა სასტუმრო ოთახის ჭერს ლესავს.
ჯერ არ:
შეიძლება:

2.8. შეაერთეთ წინადადებები:

ნიმუში: 1 – გ: რალაც მინდა გკითხოთ სპეციალურ საშენ მასალებთან დაკავშირებით და შეგიძლიათ, დამეხმაროთ?

1. რალაც მინდა გკითხოთ სპეციალურ საშენ მასალებთან დაკავშირებით
 2. სახლი ჯერ კიდევ დაუსრულებელია
 3. ქართული ჰიდროსაინჟინერო საღებავის ყიდვა მინდა
 4. სახურავისთვის კერამიკული კრამიტი ლამაზია,
 5. შიდა კედლებისთვის შპალერი ვიყიდო
 6. ქართული თბოსაინჟინერო მასალები ხელოვნური არ არის
- ა. და შეგიძლიათ, დამეხმაროთ?
 - ბ. და ხომ არ იცი, სად შეიძლება შეიძენა?
 - გ. და ეკოლოგიურად სუფთაა.
 - დ. მაგრამ ძალიან ძვირია...
 - დ. თუ წყალზე დამზადებული ეკოლოგიურად სუფთა საღებავი?
 - ე. და წლის ბოლომდე აუცილებლად უნდა დავასრულოთ მშენებლობა.

2.9. შეადგინეთ მოკლე ტექსტი მოცემული სიტყვების გამოყენებით:

თაბაშირი ლაქსაღებავები პლასტმასი თბოინჟინერო კირქვა მინა შპალერი

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

საშენი მასალები და მათი გამოყენება

3.1. შეავსეთ ცხრილი:

1. განმარტება:	ვინც ან რაც შეაჩვიეს, ან შეეჩვია
2. სიტყვა:	
3. ანტონიმი:	შეუჩვეველი
4. მაგალითი	

1. განმარტება:	ის, რაც არ ვარგა, ცუდია
2. სიტყვა:	
3. ანტონიმი:	ხარისხიანი
4. მაგალითი	

1. განმარტება:	ყველაფრისგან და ყველასგან განსხვავებული
2. სიტყვა:	
3. ანტონიმი:	ჩვეულებრივი
4. მაგალითი	

1. განმარტება:	ახალი შენობა; ის, რაც ახლახანს ააშენეს.
2. სიტყვა:	
3. ანტონიმი:	ძველი აშენებული
4. მაგალითი	

3.2. შეცვალეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: თურმე ანთიძეები თბილისში სახლს ყიდულობენ.
 თურმე ანთიძეები თბილისში სახლს ყიდულობდნენ.
 თურმე ანთიძეებს თბილისში სახლი უყიდიათ.

1. რუსუდანი ეროვნულ გამოცდებს აბარებს.

.....

.....

.....

2. ქეთევანის მშობლები გაზეთში მითითებულ ნომერზე რეკავენ.

.....

.....

.....

3. სტანდარტით გაწერილი მარკა და კლასი განსაზღვრავს სამშენებლო მასალათა ხარისხს.

.....
.....
.....

4. ანთიძეების ოჯახი მადლობას უხდის კომპანიის წარმომადგენელს.

.....
.....
.....

5. სახელმწიფო სამშენებლო კომპანია საშენი მასალების სტანდარტსა და ხარისხს აკონტროლებს.

.....
.....
.....

6. კომპანიის წარმომადგენელი დილიდანვე გააფორმებს კონტრაქტს.

.....
.....
.....

3.3. მოცემული სიტყვები ჩასვით სათანადო ფორმით :

შესწავლა გაფორმება ჩაბარება გაკონტროლება ხელის-შეწყობა საუბარი გარემონტება

ნიმუში: ლევანს ბინა არ ჰქონდა თბილისში, სოფლიდან ლექციებზე სიარული კი ძნელი იყო, ამიტომ ნათესავს ხელი შეუწყვია მისთვის.

1. ჩემი წამოსვლის შემდეგ მომხსენებელს ქართული არქიტექტურის თანამედროვე პრობლემებზე
2. კორპუსის ამხანაგობას მკაცრად აივნების უკანონო მიშენების საკითხი.
3. გიორგის ერთიანი ეროვნული გამოცდები წარმატებით
4. ანა ბანკში მისულა და კრედიტის აღების მიზნით იპოთეკის ხელშეკრულება
5. დაჩის თავისი სამსართულიანი სახლი დიზაინერის დახმარებით
6. მშენებლობის ფაკულტეტის სტუდენტებს სამშენებლო ნორმები ჯერ არ

3.4. მოცემული ორი ვარიანტიდან ხაზი გაუსვით სწორ ფორმას:

ნიმუში: ჩვენი ორგანიზაცია მხოლოდ ხარისხზეა ორიენტირებული / დახვეწილი.

